


**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა**   
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი

1 მაისი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ გორის #5 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლეილა ჯაყელის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაგთიკომი“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის, „2013–2014 წლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის N323 განკარგულებისა და „ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013–2014 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000016) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები**

- 1.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის თანამშრომლებისა და არათანამშრომლების (დანართი N1-ის (შემდგომში დანართი) შესაბამისად) ნომრებზე (შემდგომში – სააბონენტო ნომერი) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების (შემდგომში მომსახურება), გაწევა (CPV კოდი: 64200000) სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებითა და ტარიფებით.
- 1.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.3. მიმწოდებელი შემსყიდველის სააბონენტო ნომერზე ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართით (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) გათვალისწინებულ მომსახურებას.
- 1.4. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების დანართში მითითებული ჯგუფების მიხედვით წარუდგინოს მიმწოდებელს სააბონენტო ნომრების სია, რომელთაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

- 2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 283,50 ლარი.
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 2.3. სააბონენტო ნომრებიდან, რომელთათვისაც მიმწოდებლის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარიფი, საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის სატელეფონო ნომრებზე ზარის განხორციელების შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელის ტრანზიტით (მაგ. 10 07; 10 18 და ა.შ.), საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

**3. თანამშრომლების ნომრების მომსახურებაზე ანგარიშსწორების წესი**

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- 3.2. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის პირველ 10 რიცხვამდე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის

